

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილი) საერთაშორისო საზოგადოებას შორის

ქ. თბილისი

14 ივლისი, 2015 წელი.

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (შემდგომში „აკადემია“) წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის სახით და მეორეს მხრივ ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილი) საერთაშორისო საზოგადოება (შემდგომში „აქქს“) წარმოდგენილი საზოგადოების პრეზიდენტის ლელა ქართველიშვილის სახით, შემდგომში წოდებულნი, როგორც „მხარეები“ თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა მიმართულებით.

„მხარეთა“ მიერ წინამდებარე მემორანდუმი ფორმდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 1. მიზანი

1.1. მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება „მხარეებს“ შორის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმიანობის: სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საგანმანათლებლო, საგამომცემლო, საინჟინრო და სხვა მიმართულებით.

მუხლი 2. მხარეთა უფლებამოსილებანი

2.1. „მხარეები“ თავიანთი კომპენტენციის ფარგლებში განახორციელებენ ურთიერთთანამშრომლობას, მოაწვობენ: კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს, დისკუსიებს, სესიებს, საგანმანათლებლო და კულტურულ გაცვლით პროგრამებს, გამოფენა-ჩვენებებს და სხვა.

2.2. შეიმუშავენ და განახორციელებენ ერთობლივ პროექტებსა და კვლევებს, რომელიც ხელს შეუწყობს მემორანდუმის ხელმოწერი ორგანიზაციების განვითარებას.

2.3. მონაწილეობას მიიღებენ რომელიმე „მხარის“ მიერ ორგანიზებით მოწვეულ შეხვედრებში, თათბირებში, კონფერენციებში ან საჯარო განხილვებში.

2.4. პრიორიტეტულად ითანამშრომლებენ „გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილებასთან“, საავიაციო მეცნიერების განვითარების მიმართულებით და სხვა საკითხებში.

2.5. გამოაქვეყნებენ სამეცნიერო შრომებს „აკადემიის“ სამეცნიერო გამომცემლობებში და სამხედრო მიმართულების სამეცნიერო ჟურნალში - „სამხედრო მეცნიერება. საქართველო“.

2.6. ითანამშრომლებენ ალექსანდრე ქართველის, სხვა სახელოვანი ავიატორების და ცნობილი ქართველების არქივების მოძიებასა და კვლევებში.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ორივე „მხარის“ მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაში რჩება სანამ ერთი მხარე ორი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს მისი შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 4. ცვლილებების შეტანა

- 4.1. მემორანდუმის არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივ შეცვალოს მემორანდუმის პირობები.
- 4.2. მემორანდუმის ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით და დანართის სახით დაერთოს წინამდებარე მემორანდუმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
- 4.3. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი მემორანდუმის ბათილად ცნობას.

მუხლი 5. დავების გადაწყვეტა

5.1. „მხარეთა“ შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 6. სხვა პირობები

- 6.1. შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება „მხარეებთან“.
- 6.2. შეთანხმება არ შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს; ის არ წარმოადგენს აუცილებლად შესასრულებელ დოკუმენტს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასში მოცემული ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის ნებაზე, შესაძლებლობაზე და კომპენტეციაზე.
- 6.3. მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში ამან არ უნდა იქონიოს გავლენა იმ საქმიანობაზე, რომელიც განხორციელდა წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე მისი მოქმედების პერიოდში.
- 6.4. ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე მემორანდუმით გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია“



პრეზიდენტის მ/შ
როინ მეტრეველი



ალექსანდრე ქართველის
(ქართველიშვილი) საერთაშორისო
საზოგადოება

პრეზიდენტი
ლელა ქართველიშვილი